ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: "კერძო სკოლა ინტელექტი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;

- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნინო ბალანჩივძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ნინო გვარამაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

სკოლის მისიაა მოსწავლეს მისცეს ზოგადი განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე. აღზარდოს ღირსეულ ადამიანად და მოამზადოს ცხოვრებაში წარმატებული ადგილის დასამკვირდებლად. ასევე, განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, ჩამოუყალიბოს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: ტოლერანტობა, კანონმორჩილება, ვალდებულების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, დაეხმაროს მას სწორი არჩევანის გაკეთებაში.

სკოლა იზრუნებს სწავლების ყველა საფეხურზე მოსწავლეს შეუქმნას უსაფრთხო გარემო და სწავლისათვის საჭირო ყველა თანამედროვე პირობა. ასევე, სკოლა იზრუნებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

''კერძო სკოლა ინტელექტი" ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სასწავლო დაწესებულებაა, რომელსაც (2017 წლის 7 აგვისტოს N21 სხდომის ოქმი) 2017 წელს ექვსი წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ავტორიზაციის მიღებიდან დღემდე მხოლოდ ერთი სასწავლო წელი არის გასული. ამ მცირე დროში არაერთი გამოწვევის პირისპირ აღმოჩნდა სკოლა. მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრული და შემუშავებული სტრატეგიული მიმართულებები სწორად უნდა განეხორციელებინა. ეს იქნებოდა სკოლის საკონონმდებლო ბაზა, პედაგოგთა კვალიფიკაციისა და მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება, თუ სასწავლო პროცესის მართვა, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება, გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემო, სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება და მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

ინტერვიურებით, საგანმანათლებლო დაწესებულების დათვალიერეითა და სკოლაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლით, გაირკვა, რომ ყველა ის მიმართულება, რომლებიც განსაზღვრული ჰქონდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

სკოლას, ამოქმედებულია. კერძოდ, სკოლის ადმინისტაცია ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე"; მასწავლებლებისათვის ჩატარებულია სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები: „სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები", „კითხვის, წერისა და თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები, კლასის მართვა და ფსიქოლოგიური თამაშები, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა", „მშობლებთან ურთიერთობა/კომუნიკაცია. ამასთანავე, ამოქმედებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მუშაობის მექანიზმები. სასწავლო პროცესში დამწყები მასწავლებლები, რომლებიც მიღებულნი არიან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 612-ის მე-3 პუნქტის თანახმად, ესწრებიან გაკვეთილებს, მოქმედ მასწავლებლებთან ერთად გეგმავენ და ატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს; თითოეული მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, გეგმავენ სასწავლო პროცესს. შიდამონიტორინგის საფუძველზე ადგენენს ძლიერ და სუსტ მხარეებს და განსაზღვრავენ გაუმჯობესების გზებს, რომლებიც სასწავლო პროცესის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა.

სკოლა V- XII კლასის მოსწავლეებს ავალდებულებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაწევრიანდნენ მინიმუმ ერთ კლუბში(ლიტერატურული სალონი, მოაზროვნეთა, ნორჩ ტექნიკოსთა, ხელოვნებისა და სამოქალაქო განთლების კლუბები). თუმცა, ინტერვიურებისას, გაირკვა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ორ ან სამ კლუბში სიამოვნებით არის გაწევრიანებული, რაც ხელს უწყობს მოზარდებში სოციალური და ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარების გამომუშავებას, ამასთანავე, პასუხისმგებლობის გრძნობის, მოვლენათა შეფასებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას პრობლემის გადაჭრისა და კონფლიქტების მოგვარებისათვის;

სხვადასხვა შემეცნებითი თუ აღმზრდელობითი საქმიანობა უზრუნველყოფს სკოლაში დროისა და ყურადღების მობილიზებას, კლასში თავისუფალი შემოქმედებითი გარემოს შექმნასა და სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მიდრეკილების, ფიზიკური, ფსიქიკური შესაძლებლობებისა და ასაკთან შესაფერისი ინტერესების გამოვლენას, რომელიც სამომავლოდ დაეხმარება მათ თვითდამკვიდრებაში.

დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამებით
- ინტერვიუებით;
- სკოლის ვებგვერდით: https://www.intelecti2017.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

მოსწავლეები სწავლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო საგანს. სასკოლო საასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა:

1. დაწყებითი საფეხურის კათედრა
2. ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენების კათედრა
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა
4. სპორტის, ესთეტიკური აღზრდისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს. სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის დებულება, რომელიც არეგულირებს კათედრების მუშაობას.

სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. გაკვეთილებს შორის ხანგრძლივობა არის I კლასის მოსწავლეებისთვის – 35 წუთი, ხოლო დანარჩენი კლასებისთვის - 45 წუთი. გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობაა 5 წუთი, მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა 20 წუთია, ხოლო მეექვსე გაკვეთილის შემდეგ 15 წუთი, აღნიშნული შესვენების დრო განსაზღვრულია მოსწვლეთა კვებისათვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივ ბადეს ახლავს ზოგადი განმარტებები, ეროვნული სასწავლო გეგმით როგორც გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა, ისე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რაც სკოლის თავისებურებას უსვამს ხაზს.

სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2018-2019 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელ დამატებით სავალდებულო საგნებს(უფასო):

- ✓ ჭადრაკი - I-IV კლასებში (კვირაში 2სთ);
- ✓ გერმანული ენა - VII-X კლასებში (კვირაში 2სთ);
- ✓ რუსული ენა - IV კლასში (კვირაში 2სთ);

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით სავალდებულო საგანს(უფასო):

- ✓ სახალისო ინგლისური - I-II კლასებში (კვირაში 2სთ);

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

- ✓ გახანგრძლივებული ფუნქციონირებს I-VI კლასებში. გაკვეთილების შემდეგ, გახანგრძლივებული სწავლების მასწავლებელი მოსწავლეებს უტარებს დამატებით მეცადინეობებს 18:30 საათამდე, მოამზადებინებს გაკვეთილებს.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს უფასო წრის სახით:

- ✓ კარატეს წრე - I-IV კლასებში;
- ✓ სპორტული ცეკვების წრე - I-IV კლასებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I-IV კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სურვილისამებრ აირჩიონ მინიმუმ ერთი წრე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სპორტის სახეობებიდან სკოლას განსაზღვრული აქვს სპორტის სამი სახეობა:

- ფეხბურთი;
- კალათბურთი;
- მაგიდის ჩოგბურთი

სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. სასწავლო წლის განმავლობაში განსაღვრულია სხვადასხვა ტიპის კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული თუ შემცნებითი ღონისძიებებში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- 2017/2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- კათედრის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციით;
- კლასის დამრიგებელთა პორტფოლიოებით;
- სკოლის ვებგვერდით: https://www.intelecti2017.ge
- ინტერვიუებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ვიზუალური დათალიერებით, ინტერვიურებით, გაირკვა, რომ სკოლის საზოგადოებას აქვს მზაობა ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მოსწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით:

- სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი;
- განსაზღვრულია ერთი სველი წერტილი სსსმ მოსსწავლისათვის;
- შეძენილია უნიკალური მოწყობილება **„კიბეებზე გადასაადგილებელი მუხლუხო;**
- **შემუშავებულია** ინდივიდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების **მექანიზმები .**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიუებით;
- ვიზუალური დათვალიერებით

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. ამასთანავე, ქულების გამოანგარიშების წესი, სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპები. შემუშავებულია შეფასების სქემები, რუბრიკები საგნების მიხედვით.

განსაზღვრულია და დადგენილი სასწავლო წლის/საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი და შემუშავებულია ამ ბარიერის დაუძლევლობის შემთხვევაში როგორც მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ისე მშობლებთან მოსწავლის აკადემიური მოსწრების ინფორმირების წესები.

შერჩევითი წესით შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ანალიზის დროს პედაგოგები აღნიშნავენ - რა პრობლემები წარმოიშვა ამა თუ იმ კონკრეტული შემაჯამებელი დავალების შესრულების დროს, რომელი პრობლემების აღმოფხვრაა შესაძლებელი სემესტრის დასრულებამდე და რომელი აქტივობა იძლევა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის საშუალებას. ამასთანავე, კოლეგებთან ერთად განისაზღვრება რეკომენდაციები შემდგომი სამუშაოების დაგეგმვის მიზნით.

ექსპერტებმა, მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:

- **მართალია, შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპისაა, მაგრამ ტესტური** დავალებების პარალელურად გამოიყენება მაგ.; **ქიმიაში - პროექტი, მათემატიკაში -მოდელების შექმნა, ქართულში - ტექსტის გააზრება, ანალიზი, ესე, გეოგრაფიაში-კონტურული რუკები, ინგლისურში - პრეზენტაცია**
- მასწავლებლის მიერ შემუშავებული **ანალიზები ზოგადია, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას.**
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით არის გაკეთებული;

საბოლოოდ, **სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია,** კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის თითოეულ საგანში სავალდებულოა, შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი;
- შემაჯამებელი დავალება შინაარსითა და სტრუქტურით იძლეოდეს შედეგის მიღწევის საშუალებას **(ესგ. მუხლი 18);**
- სასურველია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ასახავდეს მოსწავლის მიღეწევებსა და მათ საჭიროებებს.

სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს რეკომენდაციებს და ამავე სასწავლო წლიდან გამოიყენებს, სტანდარტის შესაბამის, შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვან ფორმებს. ამასთანავე, უახლოეს მომავალში აუცილებლად მიიწვევდნენ გამოცდილ ტრენერს, რომელიც დაემარება მათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებისა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაში;

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- შეფასების სქემებითა და რუბრიკებით
- შემაჯამებელი დავალებებით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებით;
- ინტერვიურებით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი („მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებით“), რომელიც ითვალისწინებდა სასკოლო ცხოვრებაში მშობლის აქტიურ ჩართულობას. ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს რამდენად არის ამოქმედებული აღნიშნული წესი, დადგინდა ინტერვიურებით. კერძოდ მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ისე თავისი შვილის დისციპლინის, პიროვნული წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ ან ინდივიდუალური შეხვედრებით, ან საერთო კრებებითა და მოსწავლის ელქტრონული ჟურნალით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2018 /2019 სასწავლო წლიდან სკოლამ შექმნა მშობელთა კლუბი, რომელსაც გაუძღვება გამოცდილი ფსიქოლოგი. ეს პრაქტიკა საქართველოში საკმაოდ ახალია, სწორედ ამიტომ მშობლებთან პირველი თვის შეხვედრები უფასო იქნება. საუბრები გაიმართება შემდეგ თემებზე: ემოციური ინტელექტის განვითარება, სტრესის მართვა, ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, ბავშვის სტიმულირება და შინაგანი რესურსების გამოყენება, ბულინგი, როგორ ვმართოთ ბავშვის ქცევა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და სხვა..

გარდა ამისა, სკოლაში ტარდება სხვადასხვა შემეცნებითი თუ საინფორმაციო ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა intelecti2017@gmail.com
- სკოლის ვებ-გვერდით www.intelecti2017ge;
- სოციალური ქსელი www.facebook.com/profile.php?id=100015681281794&fref=ts
- ვიზუალური დათვალიერებით;
- „მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებით“;
- ინტერვიურებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება

ინტერვიურებით დადგინდა, რომ **სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი ზრუნავს სასწავლო პროცესის განვითარებასა და მის სრულყოფაზე. კერძოდ,** სკოლა ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც არსებობს და მასწავლებლებისათვის ჩატარებულია სხვადასხვა შინაარსის ტრენინგი: „სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები“, „კითხვის, წერისა და თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები, ‘’კლასის მართვა და ფსიქოლოგიური თამაშები’’, „მშობლებთან ურთიერთობა/კომუნიკაცია.

ამასთანავე, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ამოქმედებულია მონიტორინგის სისტემა, რომელიც იძლევა სასწავლო პროცესის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დავათვალიერეთ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები, გაკვეთილებზე დასწრების, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და კათედრის ხელმძღვანელთა მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

წარმოდგენილი მუშაობის ანგარიშები და მათი ანალიზი, რომელთა საფუძველზეც დაწესებულების ადმინისტრაციას განსაზღვრული აქვს რეკომენდაციები, რაც პედაგოგთა პროფესიული სრულყოფას უწყობს ხელს.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტით;
- კითხვარებით;
- ინტერვიუებით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" საკუთრებაში არსებულია თბილისის მირიან მეფის ქ. N69-ში მდებარე შემდეგი უძრავი ქონება - საერთო ფართით - 1860 კვ.მ (ს/კ:01.10.08.006.185) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 2451,2 კვ.მ

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	თბილისი, მირიან მეფის ქ. N69-ში	1860 კვ.მ

დასტურდება:

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი N52.08.35.312);
- უზურფრუქტის ხელშეკრულებით;
- შიდა აზომვითი ნახაზით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

შენობა ახალგარემონტებულია. ყველა (0+3) სართულზე განსაზღვრულია **25 საკლასო** ოთახი, რომლებიც აღჭურვილია **430 ცალი ინდივიდუალური მერხითა და შესაბამისი სკამით** (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში), სასკოლო დაფებით, საგანმანათლებლო რესურსებით, რაც მოიცავს სხვადასხვა საგნის სწავლებისათვის აუცილებელ თვალსაჩინოებას, პლაკატებს, რუკებს, ცხრილებსა და სხვას.

ამასთანავე, სკოლაში არის ექთნის ოთახი, სააქტო, სპორტისა და ცეკვის დარბაზები, სასადილო ოთახი სველი წერტილებით, ბუფეტი, ხელოვნების სტუდიისათვის განკუთვნილი ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კლუბური მუშაობისათვის განკუთვნილი ოთახი, მოსასვენებელი ოთხი გახანგრძლივებული კლასის მოსწავლეთათვის, კომპიუტერული კაბინეტი და ბიბლიოთეკა.

სკოლაში, ასევე, გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. ამისათვის სკოლას აქვს **24 კომპიუტერი,** ერთი პროექტორი, პრინტერები, ასლგადამღებები.

დასტურდება:

- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

დაწესებულებას ეზოში აქვს ერთი ღია ტიპის მოედანი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სპორტული ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადით, სხვადასხვა ზომის კალათბურთის ფარებითა და ფეხბურთის კარით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შენობის მე-3 და ნულ სართულებზე სპორტის გაკვეთილებისათვის განსაზღვრულია ორი სპორტული დარბაზი (მცირე და დიდი), სადაც, ერთი მხრივ, მხიარული სტარტები, სპორტული ცეკვები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები ეწყობა, ხოლო, მეორე მხრივ, ტარდება სკოლის მიერ შერჩეული სპორტის შემდეგი სახეობები:

- ფეხბურთი;
- კალათბურთი
- მაგიდის ჩოგბურთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტული სახეობებისთვის შესაბამისი ინვენტარი: ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, ჩოგბურთის მაგიდები და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისათვის განსაზღვრული ინვენტარი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებებით;
- სასაქონლო ზედნადებებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლის შენობის ნულ სართულზე მოწყობილია სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისათვის განსაზღვრული კაბინეტი - ფიზიკისა და ქიმია-ბიოლოგიის გაკვეთილების ჩასატარებლად.

სკოლას აქვს ლაბორატორიული აღჭურვილობის სრული კომპლექტი, რომელიც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ სარეკომენდაციო ჩამონათვალს.

ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, არის სველი წერტილი და სარკმელზე დამონტაჟებული გამწოვი ვენტილაცია.

დასტურდება:

- ხელშეკრულებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლაში ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, სასწავლო შენობაში ყველა სართულზე კეთილმოწყობილია სველი წერტილები, რომელთა საერთო რაოდენობა (როგორც გოგონებისათვის, ისე ვაჟებისათვის) **19-ს შეადგენს. მათ შორის 1- სსსმ მოსწავლისათვის და 3 - პედაგოგებისათვის.**

სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია. ამასთანავე, სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრულებით ;
- გადახდის ქვითრებით;

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

ბიბლიოთეკაში ავტორიზაციის მიღების დროს **იყო 665 ერთეული წიგნი.** დღეს კი სკოლაში **1042 ერთეული წიგნია აღრიცხული, რომელთაგან 510 I-XII კლასისა** და საგნის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოა და **532 - მხატვრული//მეთოდური.** ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და კლასების მიხედვით განლაგებულია თაროებზე.

ბიბლიოთეკაში, წიგნებისა და სხვა ბეჭდური გამოცემების მონაცემები აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესით, აღწერილია ელექტრონულ კატალოგში (ბაზაში) და ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის, ისე ბიბლიოთეკის ნებისმიერი მკითხველისათვის (სკოლა არის "OpenBiblio"-ს მომხმარებელი).

ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- წიგნების შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკის კატალოგით;
- ჩუქების ხელშეკრულებებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

შეფასება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლას შეძენილი აქვს კიბეებზე უნივერსალური გადასაადგილებელი მუხლუხო, რომელიც განსაზღვრულია ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთათვის.

ამასთანავე, შენობის პირველ სართულზე კეთილმოწყობილია ერთი ადაპტირებული სველი წერტილი როგორც გოგონებისათვის , ისე ვაჟებისათვის.

მართალია, ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ინტერვიურებითა დ ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ სკოლას აქვს მზაობა ადამიანური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში გაუწიოს მას სათანადო საგანმანათლებლო მომსახურება.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

შპს "კერძო სკოლა ინტელექტი" უზრუნველყოფს თავის მოსწავლეებს ინტერნეტით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. სკოლას სასწავლო პროცესისათვის აქვს 24(ოცდაოთხი) კომპიუტერი, მათგან 1 (ერთი) ბიბლიოთეკაშია განთავსებული და 4 (ოთხი) ადმინისტრაციისათვის არის განკუთვნილი

მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია.

სკოლას, ასევე, აქვს ვებ-გვერდი www.intelecti2017ge; ელექტრონული ფოსტაintelecti2017@gmail.com და სოციალური ქსელი (www.facebook.com/profile.php?id=100015681281794&fref=ts), რომლებიც ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, მათი საშუალებით, შესაძლებელია სასკოლო ცხოვრების სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და სკოლასთან კომუნიკაცია.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სკოლის ელექტრონული ფოსტა intelecti2017@gmail.com
- სკოლის ვებ-გვერდით www.intelecti2017ge;
  სოციალური ქსელი www.facebook.com/profile.php?id=100015681281794&fref=ts
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება

სკოლაში შექმნილია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სართულზე (0+3 სართული), თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ევაკუაციის გემგა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი **(ჯამში სულ 19 ცალი ცეცხლმაქრი).** ცეცხლმაქრები ტექნიკურად შემოწმებული და დამუხტულია.

სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარითა და პრეპარატებით პირველადი დახმარებისათვის. ამასთანავე, სკოლას ემსახურება ექიმი.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საგანგებო შტაბი, რომელიც იცავს სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

შენობაში დამონტაჟებულია 16 (თექვსმეტი) უსაფრთხოების ვიდეო თვალი. აქედან 6(ექვსი) გარე პერიმეტრს აკონტროლებს, 10 (ათი) – შიდა - პერიმეტრს. შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა. სკოლას ჰყავს კვალიფიციური დღის დარაჯი, რომლის მოვალეობაა სკოლაში წესრიგის დამყარება და დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვა. შენობის შესასვლელებში განთავსებული კამერები შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დასტურდება:

- შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საევაკუაციო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ხელშეკრუებებით;

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტი -*წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი ყველა საჭირო დოკუმენტი* - ქმნის სკოლაში მოქმედ ერთიან საკანონმდებლო ბაზას და შეესაბამება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს.

დასტურდება:

- წესდებით;
- სკოლის შინაგანაწესით;
- დებულებებით;
- ბრძანებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. ერთწლიანი გეგმა განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს. ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა კი მოიცავს გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში.

ინტერვიურებითა და სასწავლო შენობის ვიზუალური დათალიერებით დადგინდა, რომ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების ნაწილი შესრულებულია, მაგ: საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სარკმელზე დამონტაჟებულია გამწოვი ვენტილაცია და სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით გამართულია სპორტულ- გამაჯანსაღებელი ორივე დარბაზი.

ამასთანავე, სრატეგიული გეგმით განსაზღვრულია თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი საცურაო აუზისა და საგნობრივი კაბინეტების მოწყობა, რომელიც გაწერილია სამოქმედო გეგმაში.

დასტურდება:

- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- სკოლის განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- ინტერვიურებით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

დაწესებულებაში სკოლის საქმის წარმოების წესის მიხედვით მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა: იწარმოება საერთო, საკადრო, გასული და შემოსული დოკუმენტაციის, ამასთანავე, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები.

ჟურნალები აკინძული, ზონარგაყრილი, დანომრილი, დალუქული და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება ყველა დოკუმენტის დედანი//ასლი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" „საქმისწარმოების ერთიანი წესით";
- შემოსული და გასული დოკუმენტაციით;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით.

3.ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

,,კერძო სკოლა ინტელექტს'' ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას ჰყავს 228 მოსწავლე და 35 მასწავლებელი. სკოლა ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. მასწავლებელთაგან პრაქტიკოსის სტატუსი აქვს 8(რვა) მასწავლებელს, უფროსი მასწავლებლის - 18 (თვრამეტ) მასწავლებელს, 7(შვიდი) მასწავლებელი აყვანილია საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 61[2]-ის მე-3 პუნქტის თანახმად (*3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებელი/პირი უფლებამოსილია დაიწყოს მასწავლებლად მუშაობა. 2023 წლის ბოლომდე მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება აქვს აგრეთვე, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი),* 1 მასწავლებელი არის მოწვეული და 1 მასწავლებლის თაობაზე (მაკა ხამაშურიძე) გაგზავნილია წერილი (**დანართი1**) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში სქემაში ჩართვის თხოვნით. მას აქვს მასწავლებლის კვალიფიკაცია და ჩაბარებული აქვს გამოცდა საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებლად.

პედაგოგებს შორის 1 დოქტორია, 19- მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული, 15- ბაკალავრი. ამჟამად საათობრივი დატვირთვა აქვს 28 მასწავლებელს, ხოლო 7 არის სარეზერვო. მათგან 2 მასწავლებელი დეკრეტულ შვებულებაშია, ხოლო 1 აუნაზღაურებელ შვებულებაში.

სკოლის სტრუქტურა: სკოლას ჰყავს დირექტორი, 2 მოადგილე, ბუღალტერი, ადმინისტრაციული მენეჯერი, ორგანიზატორი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, იურისტი, ტექნიკური მენეჯერი, 2 დამლაგებელი და დაცვის 2 თანამშრომელი. ყველა მათგანს დებულებით განსაღზვრული აქვს ფუნქცია-მოვალეობა.

დასტურდება:

- სკოლის სტრუქტურითა და ბრძანებებით ;
- ინტერვიუირებით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- „კერძო სკოლა ინტელექტის“დებულებით.
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით
- **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი წერილით (დანართი N1)**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან. ამასთანავე, მათ პირად საქმეებში არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია. გამონაკლისს წარმოადგენს დაწყებითი კლასების ორი მასწავლებელი. მათგან ერთი ასწავლის ბუნებისმეტყველებასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, ხოლო მეორე - მათემატიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. არც ერთ მათგანს არ უდასტურდება კვალიფიკაცია ხელოვნებაში. აღნიშნული ხარვეზი ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე აღმოიფხვრა. კერძოდ, ხელოვნების საათებით მაქსიმალურად დაიტვირთა სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი.

ამასთანავე, ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ დეკრეტულ შვებულებაში მყოფ ხელოვნების მასწავლებელს პირველი დეკემბრიდან უწევდა გამოსვლა სკოლაში და კადრების დეფიციტის საფრთხე არ ემუქრებოდა. **სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვაში ცვლილების შეტანის თაობაზე (დანართი 2) .**

დასტურდება:

- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით;
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით;
- ბრძანებების წიგნით.
- დირექტორის ბრძანებით მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(დანართი N 2)**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლის შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. მასწავლებელები მიიღებიან საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისა და შემდგომ გასაუბრების გზით. დირექტორი უფლებამოსილია განსაზღვროს სამუშაოზე მიღების დამატებითი კრიტერიუმები. შერჩეულ თანამშრომელთან ფორმდება ვადიანი ხელშეკრულება, რომელშიც აღინიშნება თანამდებობა, ხელფასი, უფლებამოსილება, დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წესი და ა.შ. მიღებულ კანდიდატურას აცნობენ დებულებას, შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს და სკოლისთვის ნიშანდობლივ სხვა საკითხებს.

დირექტორს უფლება აქვს დაითხოვოს თანამშრომელი ხელშეკრულების ვადის გასვლის, სკოლის შინაგანაწესის, დებულების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის, არაკეთილსინდისიერად ან/და არაჯეროვნად შესრულების, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლების უხეში დარღვევის ან სხვა მიზეზით, რომელიც ჩაითვლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად; თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი დასაქმებულია, იგი ვალდებულია გააფრთხილოს დირექტორი არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. გაფრთხილებიდან აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მას უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა;

დასაქმებულთა წახალისების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლით. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობი სსამუშაოს შესრულებისა და სხვა სამსახურებრივი დამსახურებისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- საპატიო სიგელით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში სკოლა მოქმედებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

დასტურდება

- შინაგანაწესით
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- დირექტორის ბრძანებით N1/17 ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის დირექტორს პედაგოგებთან, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. გამოცემულია შესაბამისი ბრძანება და გატარებულია ბრძანების სარეგისტრაციო წიგნში. ხელშეკრულებაში, დამქირავებლისა და დაქირავებულის მონაცემების გარდა, შეტანილია დაქირავებულის სამუშაოს მოკლე აღწერა, უფლება – მოვალეობები, ასევე დამქირავებლის უფლება–მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტის საფუძვლები და სხვა პირობები. ხელშეკრულება პედაგოგებთან იდება 1 წლით. სკოლაში არსებულ ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში შრომითი ხელშეკრულებები დარეგისტრირებულია საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

დასტურდება:

- შინაგანაწესით;
- ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- პირადი საქმეებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ წინსვლაზე, მიზნად ისახავს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ მიერ სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლაში რეგულირდება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის დებულებით. სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლის მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

სკოლა ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც არსებობს და მასწავლებლებისათვის ჩატარებულია სხვადასხვა ტრენინგი: „სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები“, „კითხვის, წერისა და თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები, კლასის მართვა და ფსიქოლოგიური თამაშები, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა“, „მშობლებთან ურთიერთობა/კომუნიკაცია. ამასთანავე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ამოქმედებულია ამოქმედებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მუშაობის მექანიზმები.

დასტურდება:

- შპს "კერძო სკოლა ინტელექტის" მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის დებულებით
- სკოლის განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმით;
- ტრენინგების სარეგისტრაციო ფორმებით

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს შუწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

მასწავლებლები ინტერვიუს დროს ერთხმად აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, აქვთ ხელშეწყობა საქმიანობაში ადმინისტრაციის მხრიდან. მოსწავლეები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ აქვთ კეთილგანწყობილი ურთიერთობები ერთმანეთთან და პედაგოგებთან. სკოლაში ახლადგადმოსული მოსწავლეები არ აწყდებიან ადაპტაციის სირთულეებს. სკოლაში ხდება მოსწავლეთა წინადადებებისა და სურვილების შესწავლა და შეძლებისდაგვარად გათვალისწინება. მოსწავლეები გაერთიანებული არიან კლუბებში ინტერესების მიხედვით. ისინი ჩაბმული არიან მათთვის საინერესო აქტივობებში. საჭიროების დანახვისას მასწავლებლები უტარებენ მოსწავლეებს დამატებით მეცადინეობებს და მოსწავლეებიც თავისუფლად მიმართავენ მასწავლებლებს სწავლისას წარმოქმნილი სირთულეების გამო.

ვინაიდან სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, ამასთანავე, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ავლენს პროფესიონალიზმს, საქმიანობის სიყვარულსა და საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმს, ერთ წელიწადში სკოლა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საჭიროების წინაშე დადგა და გადაწყვიტა ეზრუნა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდაზე.

დასტურდება:

- ინტერვიურებით;
- სკოლის ვებგვერდით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

- **დანართი N 1 სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მასწავლებლის სქემაში ჩართვის თაობაზე გაგზავნილი წერილის ასლი**
- **დანართი N 2 დირექტორის ბრძანება, მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვაში ცვლილების შეტანის თაოაბაზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.